



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080150983968919

№ 2923

05 / ივლისი / 2019 წ.

**შპს „ნიუ გრუფის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია;

**ტენდერების ნომრები:** NAT190003727 და NAT190003733;

**შესყიდვის ობიექტი:** 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** შპს „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 405203471);

**წერილობითი შეტყობინებების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 7 ივნისს წარმოდგენილ იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 7 ივნისის № 4515-გ და № 4516-გ წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 6070 და № 6071), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ (ს/ნ: 205340503) მიერ NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2019 წლის 4 აპრილის № 52 და № 51 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემებით დგინდება, რომ ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ (ს/ნ: 205340503) მონაწილეები არიან შპს „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 405203471) და შპს „ჰერიო“ (ს/ნ: 404892050).

სააგენტომ შპს „ნიუ გრუფის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [tornike.zviadadze@yahoo.com](mailto:tornike.zviadadze@yahoo.com) მეშვეობით, 2019 წლის 10 ივნისის № 2165 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 4 ივლისის № 2893 განკარგულებით ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2019 წლის 4 აპრილის № 52 და № 51 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

**სამოტივაციო ნაწილი**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, თუ

პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 4 ივლისის № 2893 განკარგულებით ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2019 წლის 4 აპრილის № 52 და № 51 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში. შესაბამისად, შპს „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 405203471), როგორც ზემოაღნიშნული ამხანაგობის წევრი, უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 405203471) 2019 წლის 5 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე